შპს „G & A GROUP“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

პირობითი მოსაზრება 3

პირობითი მოსაზრების საფუძველი 3

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე 6

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე 6

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში 10

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში 11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 12

1.ზოგადი ინფორმაცია 12

2.მომზადების საფუძვლები 12

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 23

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება 23

6. ფიქსირებული აქტივები 24

7. ფული და ფულის ექვივალენტები 25

8. სავაჭრო მოთხოვნები 25

9. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 25

10. სასაქონლო მატერიალური მარაგი 25

11. სავაჭრო ვალდებულებები 26

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 26

13. საოპერაციო შემოსავლები 26

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 26

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 27

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 27

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29

18. საქმიანობის უწყვეტობა 30

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 30

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს “G & A Group”

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს “G & A Group-ის”** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - ,,პირობითი მოსაზრების საფუძველის“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს “G & A Group-ის”** კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2022 წლის ივლისის თვეში. კომპანიამ ვერ წარმოგვიდიგინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა ლიმიტაციის გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურების მეშვეობით. ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარდგენილია 8 290 013 ლარით. ჩვენ

ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება სასაქონლო მატერიალური მარაგების მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიის სააღრიცხვო სისტემასა და ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი 12 304 654 ლარის ოდენობით, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2018 წელში განხორციელებული ძირითადი საშუალებების ნაწილის (მიწა და შენობა-ნაგებობების) შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით. აღნიშნული თარიღის შემდეგ კომპანიას არ შეუფასებია მის საკუთრებაში რიცხული ძირითადი საშუალებები. ამ მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა სხვა რაიმე სახის კორექტირების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ გადაფასების რეზერვის, ძირითადი საშუალებების და მათთან დაკავშირებულ ფინანსურ ელემენტებთან მიმართებაში.

ამასთან, კომპანიამ ვერ წარმოადგინა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის აქტი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდზე. შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „G & A Group-ისგან"** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინასური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ **შპს "G & A Group-ის"** 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს "G & A Group-ის" კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც

მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს “G & A Group” კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შპს "G & A Group-ის" ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქცინირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქცინირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს "G & A Group-ის"** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2022 წლის 2 აგვისტოს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინასური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისისნი ცალ-

ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინასურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე (SARAS-A-615427)

გარიგების პარტნიორი

Konstantine Kiknadze 56001001633

Digitally signed by Konstantine Kiknadze
Date: 2022.09.23 14:43:00

შპს ,,კკ ჯგუფი“

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

23 სექტემბერი 2022

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	952 376	205 545	899 164
სავაჭრო მოთხოვნები	8	10 214 446	8 266 356	5 990 768
გადახდილი ავანსები	9	3 904 410	3 629 431	2 251 450
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		23 918	24 712	
მიმდინარე მარაგები	10	8 290 013	7 884 597	7 360 384
საგადასახადო აქტივი		-	207 931	
სხვა მიმდინარე აქტივები		87 996	193 287	48 120
სულ მიმდინარე აქტივები		**23 473 158**	**20 411 859**	**16 549 886**
ძირითადი საშუალებები	6	25 040 330	21 368 136	19 392 452
ბიოლოგიური აქტივები		15 419	15 419	15 419
სხვა არამატერიალური აქტივები		114 950	134 389	156 207
სულ გრძელვადიანი აქტივები		**25 170 599**	**21 517 943**	**19 564 078**
სულ აქტივები		**48 643 757**	**41 929 803**	**36 113 964**
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11	7 008 807	4 816 495	1 978 798
მიღებული ავანსი		2 167 191	1 354 574	
საგადასახადო ვალდებულებები		500 342	167 707	641 900
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		2 241 045	1 162 058	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2 667 874	2 831 285	2 686 243
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**14 585 259**	**10 332 119**	**5 306 941**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		31 337 295	30 278 954	23 667 529
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**31 337 295**	**30 278 954**	**23 667 529**
სულ ვალდებულებები		**45 922 553**	**40 611 073**	**28 974 470**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3 479 910	3 479 910	3 479 910
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		12 304 654	12 304 654	12 304 654
კაპიტალში კონტრიბუცია		11 996 638	11 996 638	11 996 638
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(25 059 998)	(26 462 472)	(20 641 708)
სულ საკუთარი კაპიტალი		**2 721 204**	**1 318 730**	**7 139 494**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**48 643 757**	**41 929 803**	**36 113 964**

_____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	**2021 წელი**	**2020 წელი**
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	13	29 336 185	33 228 117
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16 697 257)	(23 777 322)
საერთო მოგება		**12 638 928**	9 450 795
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(3 941 022)	(3 646 589)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 517 674)	(1 315 075)
მარკეტინგული მომსახურება		(3 563 386)	(1 912 804)
კომუნალაური და საკომუნიკაციო ხარჯები		(1 081 002)	(614 390)
ტრანსპორტირებისა და საწვავის ხარჯი		(394 382)	(285 279)
საკონსულტაციო ხარჯები		(117 000)	(43 651)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(122 497)	(88 688)
იჯარის ხარჯი		(20 536,07)	(35 820)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(637 044)	(753 196)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(11 394 545)**	(8 695 492)
საოპერაციო მოგება(ზარალი)		**1 244 383**	755 303
წმინდა შემოსულობა / (დანახარჯი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(1 316)	1 225
ფინანსური შემოსავალი		648 840	35 848
ფინანსური ხარჯი		(2 815 484)	(2 867 010)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		537 382	966 642
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(174 794)	(52 428)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		1 967 792	(4 656 332)
სულ არასაოპერაციო მოგება(ზარალი)		**162 419**	(6 572 055)
მოგება/(ზარალი დაბეგვრამდე)		1 406 802	(5 816 752)
მოგების გადასახადი		(4 328)	(4 012)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		1 402 474	(5 820 764)

_____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	კაპიტალში კონტრიბუცია	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(20 641 708)**	**7 139 494**
წმინდა მოგება/(ზარალი)				(5 820 764)	(5 820 764)
გადაფასების რეზერვის ცვლილება +/(-)					
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/(-)					
კაპიტალში კონტრიბუცია +/(-)					
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(26 462 472)**	**1 318 730**
წმინდა მოგება/(ზარალი)				1 402 474	1 402 474
გადაფასების რეზერვის ცვლილება +/(-)					
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/(-)					
კაპიტალში კონტრიბუცია +/(-)					
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(25 059 998)**	**2 721 204**

_____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
მოგება/ზარალი	1 402 474	(5 820 764)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1 517 674	1 315 075
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**2 920 148**	**(4 505 689)**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(1 948 090)	(2 275 588)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(274 979)	(1 377 981)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(405 416)	(524 213)
ცვლილებები საგდასახადო აქტივებში	207 931	(207 931)
ცვლილებები სხვა მიმდინარე აქტივებში	106 185	(169 879)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	3 004 929	4 192 271
ცვლილებები საგდასახადო ვალდებულებებში	332 635	(474 193)
ცვლილებები მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში	1 078 987	1 162 058
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(163 410)	145 042
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 938 771**	**(4 036 103)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების ზრდა/კლება	(5 170 429)	(3 268 940)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(5 170 429)**	**(3 268 940)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალში კონტრიბუცია		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ცვლილება	1 058 341	6 611 425
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**1 058 341**	**6 611 425**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**746 831**	**(693 619)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	205 545	899 164
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**952 376**	**205 545**

_____

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „G & A GROUP“ (ს/ნ 404943683) დაარსდა 2012 წლის 4 მაისს, საქართველოს მეწარმეთა კანონის შესაბამისად. მესაკუთრე და 100 % წილის მფლობელი არის ტურგაი ალაკბაროვი. იურიდიული მისმართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქ., №29.
შპს „G & A GROUP“-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება და გაყინული ხორც პროდუქტებისა და თევზის იმპორტი და დისტრიბუცია. კომპანია ბაზარზე ოპერირებს 3 ბრენდით: „რერა“ (პრემიალური სეგმენტის საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები), „ხინდა“ (საშუალო სეგმენტის საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები) და „ნობათი“ რომლითაც წარმოდგენილია საცალო ქსელში შებოლილი თევზეული, დაფასოებული გაყინული ხორცპროდუქტები და თევზი. ამ ეტაპზე კომპანიის პროდუქცია წარმოდგენილია საცალო ქსელების უმეტეს ნაწილში და 1000 მდე არაქსელურ მაღაზიაში.
შპს „G&A GROUP“-ს გააჩნია თანამედროვე, 7000 ტონა მოცულობის სამაცივრე საწყობები, სადაც ასევე განთავსებულია საბაჟო საწყობები.

შვილობილი საწარმო
2015 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ დააფუძნა 100% წილით შპს "ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის" (ს/ნ 405124477), დირექტორი - დონაძე ირაკლი, პ/ნ 01006007658, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 29.

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.
შპს “G & A Group” აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.
შპს “G & A Group-ის” პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირების საფუძველი

შვილობილი კომპანია წარმოადგენს ინვესტირების ობიექტებს, სტრუქტურირებული კომპანიების ჩათვლით, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი, რადგანაც ჯგუფს (i) აქვს უფლებამოსილება ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვესტირების ობიექტების შესაბამის საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შემოსავალზე, (ii) ექვემდებარება ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავლები ინვესტირების ობიექტებთან ურთიერთობიდან და (iii) შეუძლია ინვესტირების ობიექტებზე თავისი ძალაუფლება გამოიყენოს ინვესტორის მოგებაზე ზემოქმედების მოსახდენად. მატერიალური უფლებების, მათ შორის, მატერიალური პოტენციური ხმის მიცემის უფლებების არსებობა და ზემოქმედება, მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს ძალაუფლება სხვა კომპანიაზე. იმისთვის, რომ უფლება მატერიალური იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს ამ უფლების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა მაშინ, როცა საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ინვესტირების ობიექტის შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობის შესახებ. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე მაშინაც კი, თუ ის ინვესტირების ობიექტში ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლებს ფლობს. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს თავისი ხმის უფლებების მოცულობას ხმის უფლების მქონე სხვა პირთა ხმების მოცულობასა და გავრცელებასთან მიმართებაში იმის განსაზღვრისთვის, აქვს თუ არა მას ფაქტიური ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე. სხვა ინვესტორების დაცვითი უფლებები, როგორიცაა, უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტის საქმიანობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან ან რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში გამოიყენება, არ აფერხებს ჯგუფის მიერ ინვესტირების ობიექტის კონტროლს. შვილობილი კომპანია კონსოლიდირებულია იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირებულია კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის ასახსნელად. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და პასივები და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ფასდება შეძენის თარიღს მათი სამართლიანი ღირებულებით, განურჩევლად აქციათა არასაკონტროლო პაკეტის მოცულობისა. ჯგუფი განსაზღვრავს აქციათა არასაკონტროლო პაკეტს, რომელიც წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას და მფლობელს ანიჭებს უფლებას

წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგ თანმიმდევრულ გარიგებებთან მიმართებაში: (ა) სამართლიანი ღირებულებით ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების პროპორციულ წილზე აქციათა არასაკონტროლო პაკეტში. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი, რომელიც არ წარმოადგენს ამჟამინდელ წილობრივ მონაწილეობას, განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით. გუდვილი განისაზღვრება შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების გაქვითვით შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი თანხიდან, შესაძენ კომპანიაში აქციათა არასაკონტროლო პაკეტის თანხიდან და შესაძენ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებიდან, რომელსაც ფლობს უშუალოდ შეძენის თარიღამდე.

ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „ხელსაყრელი შეძენა") აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გადააფასებს, განსაზღვრა თუ არა მან ყველა შეძენილი აქტივი და პასივი და ნაკისრი გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და განიხილავს მათი შეფასების მიზანშეწონილობას.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული თანხა ფასდება უარყოფილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, გაცემული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტებითა და ნაკისრი ვალდებულებებით, პირობითი ანაზღაურების შესახებ შეთანხმებებიდან აქტივების ან პასივების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ მოიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა, საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურება. შეძენასთან დაკავშირებული და წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების გაცემისას გაწეული ხარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში სასესხო ვალდებულებების გაცემისას გაწეული საოპერაციო ხარჯები გაიქვითება სესხის საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა საოპერაციო ხარჯი ჩამოწერილ იქნება ხარჯების სახით.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ბალანსები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის გარიგებებიდან ლიკვიდირებულია; ასევე ლიკვიდირებულია არარეალიზებული მოგება, თუ ხარჯი ვერ იქნება ანაზღაურებული. ჯგუფი და მისი შვილობილი ჯგუფი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის პოლიტიკასთან.

აქციათა არასაკონტროლო პაკეტი წარმოადგენს საბოლოო შედეგებისა და შვილობილი კომპანიის საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აქციათა პაკეტთან, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ ფლობს კომპანია. აქციათა არასაკონტროლო პაკეტი ქმნის ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალური კომპონენტს.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში.

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის

დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

პირი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

პირს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება აქტივების სავარაუდო საექსპლოატაციო ვადის შესაბამისად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულებას განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მიმოსვლის გზები	20 წელი
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
დანარჩენი ძირითადი საშუალებები	2-4 წელი

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება

მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი .

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

პირი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2020-2021 წლის 31 დეკემბრს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	*ევრო*
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც იურდიულმა პირმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება იურდიული პირის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, იურდიული პირი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, იურდიული პირი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.

ტერმინი "პირობითი ვადლდებულება" გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

– ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

– პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

6. ფიქსირებული აქტივები

დასახელება	მიწა	დაუმთ. მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	დანარჩენი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31/12/2019	**12 758 450**	**51 783**	**4 779 550**	**797 809**	**408 493**	**444 144**	**19 392 452**
მატება			1 021 294	1 742 427	196 605	315 712	**3 276 039**
ჩამოწერა				(3 997)		(7 423)	**(11 420)**
ცვეთის ხარჯი 2020			(299 772)	(608 603)	(180 385)	(198 613)	**(1 288 935)**
ბალანსი 31/12/2020	**12 758 450**	**51 783**	**5 501 072**	**1 927 637**	**424 714**	**553 820**	**21 368 136**
მატება		2 841 989	448 413,69	1 220 576,26	98 115,40	2 838 905,56	**7 456 898**
ჩამოწერა				(80 852,85)		(2 298 356,88)	**(2 379 210)**
ცვეთის ხარჯი 2021			(396 912)	(610 483,37)	(143 574,17)	(252 919,65)	**(1 405 494)**
ბალანსი 31/12/2021	**12 758 450**	**2 893 771**	**5 552 574**	**2 456 877**	**379 255**	**841 449**	**25 040 330**

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	9 717	10 490
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	851 700	159 118
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	90 959	35 937
ჯამურად	**952 376**	**205 545**

8. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11 121 574	9 236 522
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების ანარიცხები	(912 283)	(975 619)
მომწოდებლებისგან მიღებული კრედიტ ნოტა/მომწოდებლებზე გაგზავნილი დებიტ ნოტა	5 155	5 453
ჯამურად	**10 214 446**	**8 266 356**

9. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
გადახდილი ავანსები	3 904 410	3 629 431
ჯამურად	**3 904 410**	**3 629 431**

10. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
გასაყიდად გამიზნული საქონელი	6 840 029	7 201 512
ნედლეული	803 257	592 879
სხვა მარაგები	646 727	90 206
ჯამურად	**8 290 013**	**7 884 597**

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
ვალდებულებები არარეზიდენტ კომპანიებთან	4 695 924	2 937 503
ვალდებულებები რეზიდენტ კომპანიებთან	2 312 884	1 878 993
ჯამურად	**7 008 807**	**4 816 495**

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**31.12.2021**	**31.12.2020**
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	2 566 134	2 744 583
გადასახდელი ხელფასები	55 410	48 032
მიღებული ავანსები	36 306	36 306
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	100	100
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9 924	2 264
ჯამურად	**2 667 874**	**2 831 285**

13. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**2021**	**2020**
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	27 545 618	31 433 016
შემოსავალი მომსახურებიდან	1 790 567	1 795 101
ჯამურად	**29 336 185**	**33 228 117**

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	**2021**	**2020**
ჩამოწერილი მარაგების ღირებულება	16 697 257	23 777 322
ჯამურად	**16 697 257**	**23 777 322**

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2020-2021 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2021	2020
სამეურნეო ხარჯები	246 158	316 759
საოფისე ხარჯები	195 748	275 600
მივლინების ხარჯები	21 317	11 330
საპენსიო ხარჯი	47 005	47 069
დაზღვევის ხარჯები	87 498	68 736
წარმომადგენლობითი ხარჯი	3 896	17 987
საკანცელარიო ხარჯები	14 158	
საბანკო ხარჯები	9 916	12 942
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11 348	2 772
ჯამურად	**637 044**	**753 196**

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა იურიდიული პირების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს პირის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.
ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.
მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს პირის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე პირი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:
ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს პირის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება პირის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური

ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

18. საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ნოემბრის განჩინების საფუძველზე (საქმე №2/21532-19) შპს „ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის“ (405124477) მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მეურვედ დაინიშნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის“-ის (შვილობილი საწარმო) აქტივები შეადგენდა 22,064 ლარს, ხოლო ვალდებულებები - 241,650 ლარს. ზემოთ მოცემული ინფორმაციებიდან გამომდინარე, შპს „ჯი ენდ ეი ლოჯისტიკს სერვის“-ს (შვილობილი საწარმო) გააჩნია ფუნქციონირებადობის პრობლემა და მას არ შესწევს უნარი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს ოპერირება, თუმცა ეს გარემოება საფრთხეს არ უქმნის დედა კომპანიის ფუნქციონირებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 2 აგვისტოს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	952 376	205 545	899 164
სავაჭრო მოთხოვნები	8	10 214 446	8 266 356	5 990 768
გადახდილი ავანსები	9	3 904 410	3 629 431	2 251 450
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		23 918	24 712	
მიმდინარე მარაგები	10	8 290 013	7 884 597	7 360 384
საგადასახადო აქტივი		-	207 931	
სხვა მიმდინარე აქტივები		87 996	193 287	48 120
სულ მიმდინარე აქტივები		**23 473 158**	**20 411 859**	**16 549 886**
ძირითადი საშუალებები	6	25 040 330	21 368 136	19 392 452
ბიოლოგიური აქტივები		15 419	15 419	15 419
სხვა არამატერიალური აქტივები		114 950	134 389	156 207
სულ გრძელვადიანი აქტივები		**25 170 599**	**21 517 943**	**19 564 078**
სულ აქტივები		**48 643 757**	**41 929 803**	**36 113 964**
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11	7 008 807	4 816 495	1 978 798
მიღებული ავანსი		2 167 191	1 354 574	
საგადასახადო ვალდებულებები		500 342	167 707	641 900
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		2 241 045	1 162 058	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2 667 874	2 831 285	2 686 243
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**14 585 259**	**10 332 119**	**5 306 941**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		31 337 295	30 278 954	23 667 529
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**31 337 295**	**30 278 954**	**23 667 529**
სულ ვალდებულებები		**45 922 553**	**40 611 073**	**28 974 470**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3 479 910	3 479 910	3 479 910
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		12 304 654	12 304 654	12 304 654
კაპიტალში კონტრიბუცია		11 996 638	11 996 638	11 996 638
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(25 059 998)	(26 462 472)	(20 641 708)
სულ საკუთარი კაპიტალი		**2 721 204**	**1 318 730**	**7 139 494**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**48 643 757**	**41 929 803**	**36 113 964**

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
ვლადიმერ უგულავა
23 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

№1 შპს "G&A GROUP" 404943683 G&A GROUP

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	13	29 336 185	33 228 117
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16 697 257)	(23 777 322)
საერთო მოგება		**12 638 928**	9 450 795
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(3 941 022)	(3 646 589)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 517 674)	(1 315 075)
მარკეტინგული მომსახურება		(3 563 386)	(1 912 804)
კომუნალაური და საკომუნიკაციო ხარჯები		(1 081 002)	(614 390)
ტრანსპორტირებისა და საწვავის ხარჯი		(394 382)	(285 279)
საკონსულტაციო ხარჯები		(117 000)	(43 651)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(122 497)	(88 688)
იჯარის ხარჯი		(20 536,07)	(35 820)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(637 044)	(753 196)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(11 394 545)**	(8 695 492)
საოპერაციო მოგება(ზარალი)		**1 244 383**	755 303
წმინდა შემოსულობა / (დანახარჯი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(1 316)	1 225
ფინანსური შემოსავალი		648 840	35 848
ფინანსური ხარჯი		(2 815 484)	(2 867 010)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		537 382	966 642
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(174 794)	(52 428)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		1 967 792	(4 656 332)
სულ არასაოპერაციო მოგება(ზარალი)		**162 419**	(6 572 055)
მოგება/(ზარალი დაბეგვრამდე)		1 406 802	(5 816 752)
მოგების გადასახადი		(4 328)	(4 012)
პერიოდის მოგება/(ზარალი)		1 402 474	(5 820 764)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

№1 შპს "G&A GROUP" 404943683 G&A GROUP

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიში

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	კაპიტალში კონტრიბუცია	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(20 641 708)**	**7 139 494**
წმინდა მოგება/(ზარალი)				(5 820 764)	(5 820 764)
გადაფასების რეზერვის ცვლილება +/(-)					
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/(-)					
კაპიტალში კონტრიბუცია +/(-)					
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(26 462 472)**	**1 318 730**
წმინდა მოგება/(ზარალი)				1 402 474	1 402 474
გადაფასების რეზერვის ცვლილება +/(-)					
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/(-)					
კაპიტალში კონტრიბუცია +/(-)					
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	**11 996 638**	**3 479 910**	**12 304 654**	**(25 059 998)**	**2 721 204**

№1 შპს "G&A GROUP" 404943683 G&A GROUP

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში

შპს "G & A Group"

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
მოგება/ზარალი	1 402 474	(5 820 764)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1 517 674	1 315 075
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**2 920 148**	**(4 505 689)**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(1 948 090)	(2 275 588)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(274 979)	(1 377 981)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(405 416)	(524 213)
ცვლილებები საგდასახადო აქტივებში	207 931	(207 931)
ცვლილებები სხვა მიმდინარე აქტივებში	106 185	(169 879)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	3 004 929	4 192 271
ცვლილებები საგდასახადო ვალდებულებებში	332 635	(474 193)
ცვლილებები მიმდინარე სასესხო ვალდებულებებში	1 078 987	1 162 058
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(163 410)	145 042
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 938 771**	**(4 036 103)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების ზრდა/კლება	(5 170 429)	(3 268 940)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(5 170 429)**	**(3 268 940)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალში კონტრიბუცია		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ცვლილება	1 058 341	6 611 425
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**1 058 341**	**6 611 425**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**746 831**	**(693 619)**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	205 545	899 164
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**952 376**	**205 545**

შპს "G&A GROUP"
404943683
G&A GROUP

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

ვლადიმერ უგულავა

23 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო

შპს „G&A GROUP“

2021 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

კომპანიის შესახებ 2
კომპანიის სტრუქტურა 2
კომპანიის საქმიანობა 2
ლიცენზიები და საავტორო უფლებები 3
კომპანიის პერსონალი 3
კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 4
განვითარების გეგმები 6
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 6

კომპანიის შესახებ

შპს **„G&A GROUP“** (ს/ნ 404943683) დაარსდა 2012 წლის 4 მაისს, საქართველოს მეწარმეთა კანონის შესაბამისად. მესაკუთრე და 100 % წილის მფლობელი არის ***ტურგაი ალაკბაროვი.***

2012 წელს მიღებული წესდებით, კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4 000 000 ლარს. 2013 წლის 19 აპრილს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 3 400 000 დოლარამდე. 2016 წლის 3 იანვარს კი საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2 100 000 დოლარამდე. დღეისათვის შპს „G&A GROUP“-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 100 000 აშშ დოლარს (სალარე ეკვივალენტი - 3 479 910 ლარი). კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც დანიშნულია დამფუძნებელთა კრების მიერ 2018 წლის 23 მაისს (პარტნიორთა კრების ოქმი N08).

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის დირექტორს ჰყავს 3 მოადგილე და 16 მიმართულების მენეჯერი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კომპანიის მართვაში და ჩართული არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კომპანიაში არის 7 მუდმივმოქმედი მმართველობითი საბჭო:

აღნიშნული მმართველობითი საბჭოები იღებენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან, გრძელ და საშუალო ვადიან გადაწყვეტილებებს მიმართულებების შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობა

შპს **„G&A GROUP“**-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის:

- *გაყინული ნახევარფაბრიკატების წარმოება*
- *გაყინული ხორც პროდუქტებისა იმპორტი და დისტრიბუცია*
- *თევზის იმპორტი და დისტრიბუცია.*
- *მშრალი და გაყინული ტვირთების სასაწყობე მომსახურება*

კომპანია ბაზარზე ოპერირებს **3 ბრენდით:**



ამ ეტაპზე კომპანიის პროდუქციის წარმოდგენილია საცალო ქსელების უმეტეს ნაწილში და 1000 მდე არა ქსელურ მაღაზიაში.

შპს „**G&A GROUP**“-ს გააჩნია თანამედროვე, 7000 ტონა მოცულობის სამაცივრე და მშრალი საწყობები, სადაც ასევე განთავსებულია საბაჟო საწყობები.

ლიცენზიები და საავტორო უფლებები

კომპანია ფლობს ISO სერთიფიკატს, HACCP-ის შესაბამისად ISO 22000:2005, ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატს ISO 9001:2015.

კომპანიის პერსონალი

კომპანიაში 2017 წელს დასაქმებული იყო 220 თანამშრომელი, 2018 წელს - 215 თანამშრომელი, 2019 წელს 233, 2020 წელს 223 თანამშრომელი, 2021 წელს კი 188 თანამშრომელი.
კომპანიის საკადრო პოლიტიკა დამყარებულია თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე და დასახული მიზნების მიღწევის მაჩვენებლებზე. შესაბამისად წახალისების სისტემებიც მორგებულია ამ პრინციპზე.

კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას და კვებას. ასევე, წარჩინებულ თანამშრომლებს უფინანსდებათ სწავლება და ტრენინგი.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საერთო მოგებამ 2021 წლის ბოლოს შეადგინა 12,638,928 ლარი.



2020 წლის ბოლოს კი კომპანიის საერთო მოგება შეადგენდა 9,450,795 ლარს.



*თანხები მოცემულია ლარში

*თანხები მოცემულია ლარში

კომპანიის საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 და 2020 წლებში კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:



*თანხები მოცემულია ლარებში

კომპანიის მოგება 2021 წელს იყო 1,402,474 ლარი, ხოლო 2012 წელს ზარალი შეადგენდა 5,820,764 ლარს.



*თანხები მოცემულია ლარებში

განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეფექტურობისა და რენტაბელობის ზრდა, რომელსაც ძირითადად გეგმავს საკუთარი წარმოების პროდუქციის ასორტიმენტისა და მისი გაყიდვების წილის ზრდით მთლიან გაყიდვებში და სადისტრიბუციო ქსელის ისეთი განვითარებით რომ გამოყენებული იქნას ყველა შესაძლებლობა და კომპანიის პროდუქცია წარმოდგენილი იყოს ყველა ძირითად გაყიდვის წერტილში.

კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებაა სასაწყობე მომსახურების გაწევა, როგორც სამაცივრე ასევე მშრალი საწყობის მიმართულებით. რადგან სამაცივრე ფართზე არსებობს საკმაოდ დიდი მოთხოვნა კომპანიამ გადაწყვიტა გააფართოვოს სამაცივრე მეურნეობა. 2020 წლის ოქტომბრის თვეში ამისათვის „სს საქართველოს ბანკიდან“ აიღო სესხი და დაიწყო აღნიშნული მშენებლობა.

კომპანიისს სტრატეგიაა აწარმოოს და გაყიდოს მაღალი ხარისხის პროდუქცია ხელსაყრელ ფასად. ხოლო სასაწყობე მომსახურების ნაწილში გაუწიოს კლიენტებს მაღლი ხარისხის მომსახურება, რაც გულისხმობს პროდუქციის მიღებისა და დასაწყობებისას უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის დაცვას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე.

შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა რთულია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება. 2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული შეზღუდვების გამო კომპანიას არ შეუჩერებია საქმიანობა არც ერთი მიმართულებით, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში უწევდნენ მონიტორინგს არსებულ გამოწვევებს და აუცილებელ საპასუხო ქმედებებს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები რაც იყო დაკავშირებული თანამშრომლების უსაფრთხო გადაადგილებასა და პროდუქციის შეუფერხებელ წარმოებასა და მიწოდებასთან, საწარმოსა და საწყობში უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ბიზნეს პროცესების ახალ რეალობასთან მორგებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მოკლევადიან პერსპექტივაში კომპანიის წინაშე არ დგას კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაულახავი პრობლემები.

საკრედიტო რისკი - კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანია კლიენტებს სთავაზობს შემდგომი გადახდის პირობით ანგარიშსწორებას. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებსა და შესაბამის პოლიტიკაზე. ხდება საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვა, რაც უზრუნველყოფს რისკების მართვას მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიშვება სავაჭრო ობიექტებთან საქონლის შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებიდან. ძირითადად შეთავაზებულია შემდგომი გადახდის პირობა 15 დან 90 დღემდე. შემუშავებულია დებიტორული დავალიანებების მონიტორინგის პროცესი, რაც უზრუნველყოფს კონტრაგენტის კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეულ გამოვლენას.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ეროვნული ვალუტის მიმდინარე გაუფასურებამ აშშ დოლარისა და ევროს მიმართ კომპანიის წინაშე არსებული რისკები კიდევ უფრო გაამწვავა, რადგან კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტები და პროდუქციის ღირებულებაც უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული, არსებობს რისკი რომ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება აღნიშნული ვალუტის მიმართ გამოიწვევს ნეგატიურ ეფექტს. აღნიშნული რისკი ძირითადად დაზღვეულია იმის გამო რომ დავალიანების დაფარვა ხდება პროდუქციის მიღების მომენტში, რაც ნიშნავს რომ კურსის ცვლილების ეფექტი აისახება პროდუქციის ფასში და მისი მართვა ხდება გასაყიდი ფასის ცვლილებით. ასევე სესხების გარკვეული ნაწილი ნომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში კერძოდ დოლარში, რომელიც ასევე ატარებდა საკურსო სხვაობის რისკს. აღნიშნული სესხის კონვერტაციაზე ეროვნულ ვალუტაში სს საქართველოს ბანკთან უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი და მისი კონვერტაცია მოხდა 2020 წლის ბოლოსთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე.

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ეროვნული ვალუტის მიმდინარე გაუფასურებამ აშშ დოლარისა და ევროს მიმართ კომპანიის წინაშე არსებული რისკები კიდევ უფრო გაამწვავა, რადგან კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტები და პროდუქციის ღირებულებაც უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული, არსებობს რისკი რომ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება აღნიშნული ვალუტის მიმართ გამოიწვევს ნეგატიურ ეფექტს. აღნიშნული რისკი ძირითადად დაზღვეულია იმის გამო რომ დავალიანების დაფარვა ხდება პროდუქციის მიღების მომენტში, რაც ნიშნავს რომ კურსის ცვლილების ეფექტი აისახება პროდუქციის ფასში და მისი მართვა ხდება გასაყიდი ფასის ცვლილებით. ასევე სესხების გარკვეული ნაწილი ნომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში კერძოდ დოლარში, რომელიც ასევე ატარებდა საკურსო სხვაობის რისკს. აღნიშნული სესხის კონვერტაციაზე ეროვნულ ვალუტაში სს საქართველოს ბანკთან უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი და მისი კონვერტაცია მოხდა 2020 წლის ბოლოსთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე.

№1 შპს "G&A GROUP" 404943683 G&A GROUP